№ 89

ნელიწადი მეორე
მთავრობის მოამბე

ნელიწადი მეორე
ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 25 აპრილი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

პარასკევს, აპრილის 25, ზ. პ. ფალიაშვილის ბენეფისი მეათეთ

აბესალომ და ეთერი

შაბათს, აპრილის 26, ალეშკოს, კანშინის, პოლიაევის, ინაევის მონაწილეობით **პიკის ქალი.** კვირას, აპრილის 27, დილას საბავშვო ოპერა **შვიდი თხა, წითელი ქუდი, კატა, თხა, ცხვარი,** საღამოს საბანეევას მონაწილეობით **ფაუსტი** და **ვალპუგიის ღამე.**

მესხეთი და ჯავახეთი

შიმშილს განიცდის, უპატრონო ოგლეგი პურს ითხოვენ.

მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი მოვალეობა, გაიღეთ თქვენი წვლილი, გაუწოდეთ ძმური ხელი ტანჯულ მოძმეთ,

შემოწირულება მიიღება მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის ბინაზე, გოლოვ. პრ. ქ. № 24, ყოველ დღე დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი.

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ნებართვით

30 აპრილს მიმდინარე 1919 წ. ქ. ჭიათურაში გაიხსნება შავი ქვის მრეწველთა ოცდა-მეოთხე (მოთხიგი) ყრილობა შემდეგი კითხვების განსახილველად:

1. ყრილობის თავმჯდომარის და მდივნის არჩევნები.
2. საბჭოს, სარევიზიო კომისიის და განმანაწილებელ ბიუროს ანგარიშების განხილვა.
3. სტატისტიკური ცნობების განხილვა.
4. საბჭოს დებულების და ინსტრუქციის პროექტი.
5. რკინის გზის ტარიფის საკითხი.
6. საკითხი მარგანეცზე არსებულ საფუთო გადასახადის გადიდების შესახებ.
7. მუშათა დაზღვევის და დაშავებული მუშათა დაკმაყოფილების საკითხი.
8. რკინის გზის საკითხები.
9. სინათლის და წყლის გაყვანა სამრეწველო რაიონში.
10. ხეობებში რკინის გზის გაყვანის საკითხი.
11. ჭიათურის ქალაქის თვითმმართველობაზე და მაზრის საბჭოს სხვა და სხვა დაწესებულებათა გადაცემის საკითხი.
12. საბჭოს ოსამსახურეთა მოთხოვნილებანი მათი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
13. საკითხი საბჭოს დაწესებულებათა უზრუნველსაყოფათ სესხის აღების შესახებ.
14. საბჭოს შტატების საკითხი.
15. საკითხი მდინარე ყვირილის გაწმენდის შესახებ.
16. 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.
17. თანამდებობის პირთა არჩევნები.

604 2—1

დაიგეჯდა და იუიდეგა

საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წლისა

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა.

კრებულს დართული აქვს ქრონოლოგიური ნუსხა შიგ მოთავსებულ კანონებისა, რომელშიაც აღნიშნულია დრო კანონის მიღებისა და გამოქვეყნებისა, და აგდეთვე ვრცელი საგნობრივი სარჩევი. შეიცავს 300 მდე გვერდს დიდის ფორმატისას.

წიგნი ღირს—30 მან., სხვაგან გაგზავნით—33 მან. საწყობი იმყოფება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში, სასამ. დაწეს. შენობაში, სასამართლოს ქუჩაზედ.

ამ დღეებში დარიგდება გასასყიდად **„თამასუქის წესდება“**, თარგმნილი და შედგენილი ა. მ. ახნაზაროვის მიერ. წესდებას დართული აქვს თამასუქის სამაგალითო ნიმუშები, საგნობრივი სარჩევი და რუსული და უცხო ქვეყნის სათამასუქო სიტყვების ლექსიკონი.

714. 6—2.

კავკასიის დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოდ, რომ წესდების მე-12 პარაგრაფის ძალით აქციებზე დადებულ ფასის დარჩენილ 50 პროცენტის შემოტანა უნდა მოხდეს 27 მაისამდე. გამგეობა ფულს იღებს და კვიტანციას იძლევა ყოველ დღე, გარდა უქმეებისა დილის 10-დან დღის 2 საათ. 540

გზა-ტკეცილების სამმართველოს განცხადება

ყოველი თხოვნები და აგრეთვე პრეტენზიები იმ პირებისა, რომელთაც საქმე ჰქონდა ყოფილ კავკასიის გზათა ოლქის სამმართველოსთან, მიიღება საქართველოს რესპუბლიკის გზა ტკეცილების სამმართველოს მიერ კიდევ 1-ნახევარ თვის განმავლობაში დღიდან ამის დაბეჭდვისა „საქართველოს რესპუბლიკაში“. ამ ვადის შემდეგ სამმართველო არ განიხილავს არავითარ თხოვნებს და პრეტენზიებს. 541

საკათალოკოსო საბჭოს

იურისკონსულტის

ალაგი თავსუფალია

თვიური გასამრჯელო ათასი (1.000) მანეთი. თხოვნები მიიღება საკათალიკოსო საბჭოში 1919 წლის მაისის პირველამდე. 531 3—2

საქართველოს დამფუძნებელი კრების

კანონი

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა.

2. დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთანვე დართული საქართველოს დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატი.

3. პირველ მუხლში აღნიშნული ხარჯთაღრიცხვის სისრულეში მოსაყვანად გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ამა 1919 წლის იანვრის 1-დან წლის დამლევამდე სამი მილიონი ორას ოცდა სამი ათას ხუთას ათი (3.223.510) მან.

1919 წ. აპრილის 8 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის კანონის 1 მუხლის

დ ა ნ ა რ თ ი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების

1919 წლის ხარჯთაღრიცხვა.

№№ რიგზე.	ხ ა რ ჯ ი ს ს ა გ ა ნ ი.	1919 წ. ივნისის 1-დან 1919 წლის დამლევამდე ნეთობით.
1	დამფუძნებელი კრების წევრთა გასამრჯელო (ყოფილი პარლამენტის 147 წევრს ორი თვისა და 11 დღისა თვიურად 900 მან. ანგარიშით—313.110 მ. დამფუძნებელი კრების 130 წევრს ცხრა თვისა და 19 დღისა-თვიურად 1500 მან. ანგარიშით 1878500 მ.) . . .	2.191.610
2	დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეს საწარმომადგენლო ხარჯისათვის	15.000
3	დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის .	465.600
4	საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო და სხვა სამეურნეო ხარჯისათვის	100.000
5	კანცელარიის საჭიროებისათვის დროებით მოწვეულ მომუშავეთა სასყიდლისათვის	10.000
6	სხვა და სხვა მოულოდნელ შემთხვევის გამო მოსამსახურეთა დახმარებისათვის	15.000
7	ბიბლიოთეკის შევსებისა და სხვა ხარჯისათვის	200.000
8	სასტამბო ხარჯებისთვის	100.000
9	დამფუძნებელი კრების წევრთა საგზაო და დღიური ხარჯისათვის. . .	100.000
10	კომისიებში მოწვეულ მცოდნე პირთა გასამრჯელოსთვის	20.000
11	გაუქმებულ თანამდებობის პირთა დაკმაყოფილებისათვის 1919 წლის იანვრისა, თებერვლისა და მარტის ჯამაგირით	6.300
	ჯ ა მ ი	3.223.510

1919 წ. აპრილის 8-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი**

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის კანონის მე-2 მუხლის.

დ ა ნ ა რ თ ი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების კანცელარიის შტატი.

№№ რიგზე.	თანამდებობანი.	1919 წ. იანვრის 1-დან წლის დამლევამდე მანეთობით.					შენიშვნა.
		თანამდებ. რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს	თვიური ჯამაგირი ყველას.	წლიური ჯამაგირი თვითეულს	წლიური ჯამაგირი ყველას.	
1	კანცელარიის გამგე	1	1500	1500	18000	18000	
2	საბიუჯეტო-საფინანსო განყ. საქმეთა მმართველი	1	1400	1400	16800	16800	მე-6 მუხლისათვის.
3	საქმის მწარმოებელი	8	1000	8000	12000	96000	ამ შტატით აღრიცხული ჯამაგირი მანქანით გადამწერთათვის —იმ პირობით დაენიშნოთ მათ რომ,—განსაზღვრული ექვსი საათის დღიური მუშაობის გარეშე, ვალდებულნი არიან ყოველთვის როცა საჭიროება მოითხოვს, ზედმეტიც იმუშაონ და ამ ზედმეტი მუშაობისათვის განსაკუთრებული გასამრჯელო არ მიეცემათ.
4	ექსპედიტორი	1	850	850	10200	10200	
5	ექსპედიტორის თანაშემწე	1	750	750	9000	9000	
6	მანქანით გადამწერი-უფროსი კათეგორიისა.	7	800	5500	9600	67200	
	„ „ უმცროსი „ .	3	750	2250	9000	27000	
7	სტენოგრაფიული ოქმების რედაქტ. უფროსი.	1	1100	1100	13200	13200	
	„ „ „ უმცროსი.	1	950	950	11400	11400	
8	სტენოგრაფიული ოქმების შემდგენელი. . .	8	1100	8800	13200	105600	
9	ეკზეკუტორი	1	800	800	9600	9600	
10	ეკზეკუტორის თანაშემწე	1	650	650	7800	7800	
11	ქვესტორი	1	1100	1100	13200	13200	
12	ქვესტორის თანაშემწე უფროსი	1	900	900	10800	10800	
	„ „ უმცროსი.	1	800	800	9600	9600	
13	ბუხჰალტერი	1	950	950	11400	11400	
14	კანცელარიის მოხელე მორიგეობისათვის . .	1	650	650	7800	7800	
15	ბიბლიოთეკის გამგე.	1	1000	1000	12000	12000	
16	ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე	1	750	750	9000	9000	
	ჯამი.	41	—	38800	213600	465600	

1919 წ. აპრილის 8-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

ბრა ოფიციალური განცხადებანი

მთავრობაში

15 აპრილის სხდომა.

სხდომას დაესწრენ: მთავრობის თანამდებობის აღმასრულებელი საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი ე. ჰ. გეგეჭკორი.

მინისტრები: ბ. ბ. კანდელაკი, რამიშვილი და ხომერიკი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი, მინისტრთა ამხანაგები ბ. ბ. საბახტარაშვილი, გელეიშვილი, ცინცაძე, გედევანიშვილი და ერაძე.

საქმეთა მმართველი ბ. კ. ჯაფარიძე, მდივანი ბ. ლომთაძე.

მთავრობამ დაადგინა:

კანონ-პროექტების შესახებ:

სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი ოჯახის ერთათ-ერთ მარჩენალის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

—

კანონ-პროექტი სამხედრო უწყების ხარისხოსანთა შესახებ დებულების ცვლილების და ოფიცერთა და სამოქალაქო მოხელეთა შემდეგ ხარისხზე აყვანის შესახებ მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ჯამაგირებით დაკმაყოფილება.

სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის განკარგულებაში გადაიდოს სამხედრო კრედიტებიდან 105,453 მან. ფოთის სამხედრო პორტის პირათ შემადგენლობის ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლათ.

დამფასებელი კომისია.

სატრანსპორტო საზოგადოებისათვის გადასაცემ ქონების დამფასებელ კომისიის წევრებათ დაინიშნონ: 1) ივ. ყიასაშვილი და 2) დ. კახელაძე.

სასინჯადო განყოფილება.

1) გაუქმებულ იქმნას ამიერ-კავკასიის სასინჯადო სამმართველო (пробирное управленіе).

2) დაარსდეს სასინჯადო განყოფილება სამთო სამმართველოსი.

3) წარმოდგენილ შტატებში მოულოდნელი ხარჯებისათვის ნავარუდევი თანხა 2000 მან. მიემატოს სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებს. ამ სახით ეს შტატები გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

4) გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან ამ განყოფილების შესანახათ ამა წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 22,625 მ. და სალიკვიდაციოთ 2000 მან. სულ 24,625 მანეთი.

საზომ-საწონთა პალატა.

1) გაუქმდეს ტფილისის საზომ-საწონთა პალატა № 24.

2) დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის საზომ-საწონთა პალატა.

3) წარმოდგენილ შტატებში, მოულოდნელი ხარჯებისათვის ნავარაუდევი თანხა 2000 მან. მიემატოს სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებს. ამ სახით ეს შტატები გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

4) გადაიდოს 10 მილიონიან ფონდიდან საზომ-საწონი პალატის ამა წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე შესანახათ 26708 მ. 33 კ. და სალიკვიდაციოთ 2000 მანეთი სულ 28708 მან. 33 კაპ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ტფილისის აბანოების საიჯარო პირობები.

1. მიწათ-მოქმედების სამინისტრო იჯარითა სცემს სახელმწიფოს ხელში გადასულ სრულ საკუთრებათ შემდეგ აბანოებს, რომელიც იმყოფება ტფ. მეხუთე სამილიციო ნაწილში: ორბელიანის, ირაკლისას, ბებუთოვების, ბებუთოვის, შალამოვის, გევორქოვის, მირზოევის, სუმბათაშვილების, არღუთინსკისა და ხერხეულიძის, წოვიანოვის, „ფანტაზიას“-სუმბათაშვილებისას, იედიგაროვის, თამამშევის, მურსაკულოვის, და მეექვსე სამილიციო ნაწილში მყოფ „გოგილოსა“ და ჩითახოვის აბანოებს.

2. საიჯარო ვადა განსაზღვრულია ერთი წლით, დღიდან აბანოს იჯარის გაცემისა.

3. აბანო იცემა იჯარით მთელი თვისი ინვენტარით.

4. წლიური საიჯარო გადასახადი, რომლიდანაც დაიწყება ვაჭრობა შემდეგ ნაირათაა განაწილებული: 1) ორბელიანის აბანოზე ვაჭრობა დაიწყება 75000 მანეთიდან. 2) წოვიანოვისა—40000 მანეთიდან 3) ირაკლის—50000 მან. 4) „ფანტაზია“—15000 მ., 5) სუმბათაშვილების—30000 მ. 6) იედიგაროვის—6000 მან. 7) ბებუთოვების—60000 მან. 8) თამამშევის—10000 მან. 9) ბებუთოვის შალამოვის და გევორქოვის—15000 მ. 10) მურსაკულოვის—6000 მან. 11) მირზოევის—70000 მან. 12) გოგილო—2000 მ. 13) არღუთინსკისა და ხერხეულიძის—36000 მ. და 14) ჩითახოვის—2000 მან.

5. თანასწორ წარდგენილ პირობების დროს იჯარის გაცემის დროს უპირატესობა ეძლევათ აბანოების იჯარით აღებაზე უპირველესათ ყოფილ პატრონებს ამ აბანოებისას და შემდეგ ყოფილ მოიჯარადრეებს ამავე აბანოებისა.

6. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს უნდა წარადგინოს 10 პროცენტი იმ თანხისა, რომლიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

თუ ის პირი, რომელსაც დარჩება იჯარით აბანო და შემდეგ უარს განაცხადებს აბანოს იჯარით აღებაზე, შეტანილი თანხა ბეს სახით რჩება ხაზინის სასარგებლოთ.

7. საიჯარო გადასახადი სამ ნაწილათ იყოფება და წინდაწინვე 4 თვისა ერთად უნდა შეიტანოს მოიჯარადრემ.

8. აბანო და ინვენტარი მოიჯარადრეს ცალკე სიით გადაეცემა.

9. მოიჯარადრენი მოვალენი არიან იჯარით აღებული აბანოები, ეზოები და მის კარმიდამო სუფთად შეინახონ და დაიცვან ყველა მოთხოვნილებანი სამედიცინო სამკურნალო ნაწილისა და ყველა აწ არსებული და მომავალში გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი აბანოების შესახებ და ყოველ ამ დადგენილების დარღვევის დროს პასუხი უნდა აგონ სათანადო მთავრობის წინაშე.

10. მთელი ხარჯები როგორც წვრილი, ისე მსხვილი, რაც კი დასჭირდება აბანოების შეკეთებას მოიჯარადრე მოვალეა თვითონ გაისტუმროს.

11. ყველა გადასახადები, როგორც საქალაქო, ისე საერობო და აგრეთვე ყველა აწ არსებული და მომავალში მოსალოდნელი სხვა გადასახადები საიჯარო ვადის განმავლობაში მოიჯარადრემ უნდა გაისტუმროს.

12. აბანოების და მათ შენობების და ბინების დაზღვევის ხარჯს ისტუმრებენ თვით მოიჯარადრენი. ეს აბანოები და შენობანი უნდა დაზღვეულ იქმნეს არა ნაკლებ იმ თანხისა, რომელიც თვით ისინი ღირან ქალაქის შეფასებით.

13. იჯარის გასვლის დღეს არა უგვიანეს უკანასკნელ დღისა მოიჯარადრენი მოვალენი არიან აბანოები თვისი შენობებით და ინვენტარით ჩააბარონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ან ვისაც ეს სამინისტრო მიუთითებს, საგანგებო ტიპი რომელ სახით—როგორც ეჯარით აღების დღეს იმყოფებოდა ეს აბანოები და მათი ინვენტარი.

14. საიჯარადრო ხელშეკრულობის ყველა პირობათა შესრულების უზრუნველსაყოფათ მოიჯარადრეთ ხელშეკრულობის მოწერის დროს შეაქვთ ბეთ შემდეგი თანხები: ორბელიანის აბანოს მოიჯარადრეს 10,000 მანეთი, ირაკლისას 10,000 მანეთი, სუმბათაშვილებისას—10,000 მანეთი, ბებუთაანთის 10,000 მანეთი, ბებუთოვის, შალამოვის და გევორქოვის 3,000 მ., მირზოევის 10,000 მანეთი, არგუთინსკის და ხერხეულიძის 10,000 მანეთი, იედიგაროვის—2.000 მან., თამამშევის—2.000 მ., მურსაკულოვის—2.000 მ., გოგილოსას—2.000 მ. ჩითახოვის აბანოს მოიჯარადრეს 2.000 მანეთი. ეს ბეის ფული უბრუნდება მოიჯარადრეს, საიჯარადრო ვადის გასვლის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ პირობის შეუსრულებლობის და აბანოს და მის ქონების მიყენებულ ზარალის ფასში არ იქმნა გადარიცხული.

15. თუ საიჯარადრო პირობანი აბანოს მოიჯარადრემ დაარღვია, იგი იხდის „ნეუსტოიკას“ იმ თანხის რაოდენობისას, რაც მის შეტანილი ბე წარმოადგენს.

დამფუძნებელი კრება

სესია 1-ლი. სხდომა 12.

პარასკევს, 1919 წ. აპრილის 25-ს შუადღის 12 საათზე.

დღიური წესრიგი:

1. დამატებითი კანონ-პროექტი—საქართველოს მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა).

მომხსენებელია **პავლე საყვარელიძე.**

2. დადგენილება—დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიისათვის 100.000 მანეთის გადაცემისა.

მომხსენებელია **პავლე საყვარელიძე.**

3. დამფუძნებელი კრების რეგლამენტის საბოლოო ტექსტის განხილვის გაგრძელება.

მომხსენებელია **ან. სიდამონ-�ვილის** ასული.

მიმართვა დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიისაგან სახალხო სკოლებისადმი.

სწავლა-აღზრდის საქმეში დამფუძნებელი კრება მოწოდებულია უდიდესი მუშაობა შეასრულოს: უნდა ჩაეყაროს საძირკველი განათლების საქმის ძირითად გარდაქმნას, ახალ საფუძველზე მის აგებას და აღორძინებას. ამ მხრივ დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიას დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული. მან შესაფერი უნარის და ინიციატივის გამოჩენით უნდა შესძლოს სწავლა-განათლების სფეროში ამ დიდ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხების დამუშავება და დამფუძნებელი კრებაში მიღებულ სათანადო დადგენილების და კანონების ცხოვრებაში გატარება. მის საზრუნავ საგანს შეადგენს აგრეთვე არსებულ სკოლების შესაფერ სიმაღლეზე დაყენება.

რათა კომისიამ პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მძიმე მოვალეობა, აუცილებელია, რომ ის მჭიდროდ დაკავშირებული იყოს რესპუბლიკის ყველა ადგილებთან და სკოლებთან, იცნობდეს მათ მოთხოვნილებას. ამ მიზნისათვის აუცილებელია კომისიას მოაწოდონ ყოველნაირი მასალები სწავლა-განათლების საქმესთან დაკავშირებულ საკითხების გასაცნობად.

ამიტომ სახალხო განათლების კომისიამ თავის სხდომაზე 17 აპრილს 1919 წ. გადასწყვიტა მიმართოს რესპუბლიკის ყველა სკოლებს (დაბალ, საშუალო და უმაღლესს), ეროვნებათა და ქალაქთა გამგეობებს, მასწავლებელთა რაიონულ და სამაზრო კავშირებს მუდმივ მოაწოდონ ხოლმე კომისიას ზემოაღნიშნული მასალები, სადაც სხვათა შორის—აღნუსხული უნდა იყოს:

1. რიცხვი სახაზინო და არა სახაზინო სახალხო პირველ-დაწყებით, უმაღლეს-დაწყებითი, ტეხნიკურ-პროფესონალურ, საშუალო და სხვა სკოლებისა განსაზღვრულ რაიონში ან მაზრაში.

2. რა მდგომარეობაში იმყოფებიან საერთოდ ისინი და ცალ-ცალკე თვითეული?

3. არის თუ არა საჭირო ახალი სკოლის დარსება; თუ არის-სად და რა ტიპის?

4. როგორია სკოლების ნივთიერი მდგომარეობა და მოწყობილება.

5. არიან თუ არა მასწავლებლები, სკოლის მმართველები და უფროსები ზნეობის მხრით თავის დანიშნულების სიმაღლეზე, თუ არ არიან ვინ და სად?

6. რამდენი მოსწავლეა თვითეულ სკოლაში და სად? რამდენია მათი რიცხვი მთელ ქალაქში, რაიონში და მაზრაში?

7. სად და რამდენი ბავშვია სასკოლო ასაკის?

8. სად და რა ტიპის სკოლებია უფრო საჭირო?

9. შეიძლება თუ არა სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესობა ადგილობრივი ღონისძიებით?

10. რაში გამოიხატება ერობათა და ქალაქთა გამგეობებთან არსებულ „სახალხო განათლების“ განყოფილებათა მოღვაწეობა?

მასალები და ცნობები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით: დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიას, ტფილისი—სასახლე

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიის თავმჯდომარე **ლევან ნათაძე.**

მდივანი **ნ. იმნაიშვილი.**

მთავრობის თავმჯდომარის დაგრუნება

გუშინ, 24 აპრილს, სწრაფი მატარებლით ლანჩხუთიდან ტფილისში დაბრუნდა მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ნ. ჟორდანია.

მუნიციპალური ცხოვრება

ფუნიკულიორის განახლების საკითხი.

ტფილისის ფუნიკულიორის ბელგიელთა უსახელო სააქციონერო საზოგადოების გამგეობა შუამდგომლობს ქალაქის თვითმართველობის წინაშე ფუნიკულიორით მამა დავითის მთაზე ასვლა-ჩამოსვლის ფასის შესახებ. დასახელებულ საზოგადოების გამგეობა სწერს, რომ ტარიფის გაუდიდებლათ ფუნიკულერის მიმოსვლის განახლება შეუძლებელიაო.

წყალსადენის დათვალიერება.

გუშინ, 24 აპრილს, დილით ავჭალაში წავიდნენ ქალაქის გამგეობის წევრი ი. ი. ბესელიძე, ქალაქის სამედიკო-სასანიტარო ინსპექტორი შ. ა. მიქელაძე და ქალაქის წყალსადენის ინჟენერი ლ. ი. დიასამიძე ავჭალის წყალსადენის სადგურისა და მის მიდამოების დასათვალიერებლათ და სათანადო ზომების მისაღებად, რადგანაც გაზაფხულიდან შესაძლოა ტფილისში ხოლერის შემოტანა და გავრცელება.

საბჭოს კრების გადადება.

ქალაქის საბჭოს კრება ხუთშაბათიდან გადაიდო ორშაბათს, 28 აპრილამდე, რადგანაც საბჭოს საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ ვერ მოასწრო განხილვა ქალაქის გამგეობის მოხსენება ტფილისის ყველა მცხოვრებლებზე სასანიტარო და საეპიდემიო გადასახადის შემოღების შესახებ.

ქალაქის თავის ჩამოსვლა.

ქალაქის მოურავის ბენია ჩხიკვიშვილის ქუთაისიდან ტფილისში დაბრუნებას დღეს მოელიან.

ერობა

სათემო თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები სიღნაღის მაზრაში.

სიღნაღის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის დადგენილებით სიღნაღის მაზრა დაყოფილია 26 თვითმართველ ერთეულად:

1) ანაგის თემი: (1100 კომლი) სოფელი ანაგა; 2) ვაქირის თემი: (1000 კომლი) სოფ. ვაქარი; 3) საქობოს თემი: (1500 კომლი) სოფლები მაშნაარი, საქობო, ასანური და სადგ. წნორი. ცენტრი სადგ. წნორი; 4) ბოდბისხევის თემი: (1350 კომლი) სოფლები ბოდბისხევი, ქედელი, ცენტრი სოფ. ბოდბისხევი; 5) ჯუგაანის თემი: (860) სოფ. ჯუგაანი; 6) ტიბაანის თემი: (700) სოფლები ტიბანი, პრასიანი, ოზაანი, ქედლის კალოები, ცენტრი სოფ. ტიბაანი; 7) მირზაანის თემი: (1240) სოფლები: მირზაანი, ცლუნკაანი, კოტაანი, არბოშიკი, ცენტრი სოფ. მირზაანი; 8) ზემო მაჩხაანის თემი: (1200) სოფ. ზემო-მაჩხაანი; 9) ქვემო-მაჩხაანის თემი: (940) სოფლები ქვემო-მაჩხაანი, ფანიანი. ცენტრი სოფ. ქვემო-მაჩხაანი; 10) ბოდბის თემი: (1000) სოფ. ბოდბე და მისი კალოები. ცენტრი სოფ. ბოდბე; 11) მაღაროს თემი: (720) სოფლები მაღარო, კელმეჩური, ახალი ალექსანდროვკა, ცენტრი სოფ. კელმეჩური; 12) კარდენახის თემი: (1100) სოფ. კარდენახი; 13) ბაკურციხის თემი: (929) სოფ-ბი ჩალაუბანი, ბაკურციხე, კოლაგი. ცენტრი სოფ. ბაკურციხე; 14) გურჯაანის თემი: (1580) სოფ-ბი ვეჯინი, გურჯაანი. ცენტრი სოფ. გურჯაანი; 15) ახაშენის თემი: (954) სოფ-ბი ჩუმლაყი, ახაშენი, ზეგაანი. ცენტრი სოფ. ახაშენი; 16) ველისციხის თემი (1126) სოფ-ბი მუკუზანი, ველხსციხე. ცენტრი სოფ. ველისციხე; 17) არაშენდას თემი: (564) სოფ-ბი მელაანი, არაშენდა, ქოდალო, ფხოველი, ზიარი. ცენტრი სოფ. არაშენდა; 18) კაჭრეთის თემი: (1028) სოფ-ბი კაჭრეთი, ნანიანი, ჯიმითი, დარჩიეთი, შიბლიანი, ცენტრი სოფ. კაჭრეთი; 19) კაკაბეთის თემი: (1700) სოფ-ბი ყანდაურა, კაკაბეთი, ჩაილური, ჭერემი. ცენტრი სოფ. კაკაბეთი; 20) იორ-მულანლოს თემი: (530) სოფ-ბი თულარი, დუზაგრამა, წიწმატიანი, ფალდო, ქეშალო, მულანლო, ლამბალო. ცენტრი სოფ. ლამბალო; 21) დედოფლისწყაროს თემი: (550) სოფ-ბი დედოფლისწყარო, ნიკოლაევკა, სვეჩინოვკა. ცენტრი სოფ. დედოფლისწყარო; 22) ქედის თემი: (320) სოფ-ბი ზემო-ქედი, ქვემო-ქედი, ცენტრი სოფ. ზემო-ქედი; 23) ვარდისუბნის თემი: (600) სოფ-ბი ივანოვკა, თამარიანი, მშვიდობა, ვარდისუბანი, ჩადუნიანი, ცოდნისკარი, გრაფოვკა. ცენტრი სოფ. ვარდისუბანი; 24) ლაგოდეხის თემი: (900) სოფ-ბი მიხაილოვკა, ალექსეევკა, ცოდნა, ლაგოდეხი, გარეუბანი, შრომა, კავშირი, გურგენიანი. ცენტრი სოფ. ლაგოდეხი. 25) ბაისუბნის თემი: (960) სოფ-ბი ეშმაკის ყურე, ხეჩილები, ფონა, კართუბანი, ბაისუბანი, პატარა გორა, ზემო და ქვემო მსხალგორა, თელა, ხვლიკიანი, ყარსუბანი, ბოლოკიანი, ნაწისქვილარი, წიფლის წყარო. ცენტრი სოფ. ბაისუბანი; 26) ჭაბუკიანის თემი: (952) სოფ-ბი ვერხვისმინდორი (ზემო და ქვემო), ხოშატიანი, ქევხიანი, არეშფერანი, ბაღდადი, ფიჩხისბოგირი, ლაფიანი, პატარა ფონა, ბრეგვაძისუბანი, ფიდონი, ნაშოვარი, აფენი, ლელიანი (ბებურიანი), ლელიანი მეორე, ბალთა, ნამესრალი, ქალქვა, ანანაური, ჭაბუკიანი, მირსკისეული, ზემო და ქვემო ბოლქვი, ზემო ხოშტიანი. ცენტრი სოფ. ჭაბუკიანი.

ასარჩევია ხმოსნები: ანაგის თემში—20; ვაქირის თემში—20; ჯუგაანის თემში—15; ზემო-მაჩხაანის თემში—20; კარდენახის თემში—20; იორ-მულანლოს თემში—15; საქობოს თემში: მაშნაარი—3, საქობო—17, ასანური—4, სადგ. წნორი—1; ბოდბისხევის თემში: ბოდბისხევი—21, ქედელი—4; ტიბაანის თემში: ტიბაანი—10, პრასიანი—2, ოზაანი—3; მირზაანის თემში: მირზაანი—14, ცლუნკაანი—2, კოტაანი—2, არბოშიკი—7; ქვემო მაჩხაანის თემში: ქვემო მაჩხაანი—15, ფასიანი—5; ბოდბის თემში: ბოდბე—10, ბოდბის კალოები—10; მაღაროს თემში: მაღარო კელმეჩური—12, ახალი ალექსანდროვკა—3; ბაკურციხის თემში: ჩალაუბანი—4, ბაკურციხე—11, კოლაგი—5; გურჯაანის თემში: ვეჯინი—13, გურჯაანი—17; ახაშენის თემში: ჩუმლაყი—9, ახაშენი—11; ველისციხის თემში: ველისციხე—17, მუკუზანი—3; არაშენდის თემში: არაშენდა და ქოდალო—6, ფხოველი და ზიარი—4, მელაანი—5; კაჭრეთის თემში: კაჭრეთი და ნინიანი—6, ჯიმითი და დარჩიეთი—11, შიბლიანი—3; კაკაბეთის თემში: ყანდაურა—7, კაკაბეთი და ბადიაური—11, ჩაილური—7, ჭერემი—5; დედოფლის წყაროს თემში: დედოფლისწყარო და ნიკოლაევკა—11, სვეჩინოვკა—4; ქედის თემში: ზემო-ქედი—8, ქვემო ქედი—7; ვარდისუბნის თემში: ჭიაური (ივანოვკა)—2, ვარდისუბანი, ჩადუნიანი, მშვიდობა და თამარიანი—10, ილარიონოვკა (ცონისკარი) და გრაფოვკა—3. ლაგოდეხის თემში: ალექსეევკა, მიხაილოვკა და გურგენიანი—6, ლაგოდეხი, გარეუბანი და ცოდნა—9, შრომა-კავშირი—5; ბაისუბნის თემში: კართუბანი, ფონა, ხეჩილები და ეშმაკისყურე—9, ბაისუბანი, პატარა გორა და მსხალგორა—5, თელა, ხვლიკიანი, ყარსუბანი, ბოლოკიანი, ნაწისქვილარი და წიფლისწყარო—6; ჭაბუკიანის თემში: ჭაბუკიანი და ახლო მდებარე სოფლები—3, ლელიანი და ახლო მდებარე სოფლები—6, აფენი და ახლო სოფლები—5, არეშფერანი და ახლო სოფლები—6.

მთელს მაზრაში სათემო თვითმართველობათა ხმოსნების არჩევნები დანიშნულია 1919 წ. 11 და 12 მაისს (ახალი სტილით).

უცხოეთში

(საქართ. დეპ. სააგ.)

გერმანული პრესა.

სამშაბათს ჰამბურგში, როგორც ქალაქში ისე მის მიდამოებში საქმე ისევ დიდ შეტაკებამდე მივიდა. ქუჩებში გამვლელთ თავს ესხმოდენ და სძარცვავდენ. ბრბომ ხელში ჩაიგდო თავდაცვის 2 ავტომობილი. შიგ მყოფ პოლიციელებს იარაღი აჰყარეს. მოხდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულია რამდენიმე და მრავალი დაჭრილია. ამ გამოსვლების გამო ჰამბურგსა, ალტონსა და ვანდსბეკეში საალყო წესები გამოაცხადეს. სახალხო თავდაცვის რაზმმა და პოლიციამ მკაცრი ბრძანება მიიღო, რომ დაუყოვნებლივ დახვრიტონ ყველა, ვისაც კი დაიჭერენ შეიარაღებულ თავდასხმასა და ძარცვაში, ან პოლიციისა და თავდაცვის რაზმელებისადმი წინააღმდეგობისათვის.

ქვანახშირის სიმცირის გამო მოსალოდნელია, რომ რკინის გზებზე მოძრაობა კიდევ შემცირდება. გალის ოლქშიაც მოძრაობა შემცირდება. კასელიდან იუწყებიან, რომ 72 მატარებელი შესწყვეტს მოძრაობას და მაინის ფრანკფურტს სამგზავრო და საბარგო მოძრაობის სრულიათ შეწყვეტის საფრთხე მოელის.

ინგლისური პრესა.

მიუნხენში საბჭოთა მთავრობა დაეცა. სამხედრო ნაწილები, რომელნიც წითელ არმიას უნდა შეერთებოდენ, აღარ სცნობენ საბჭოთა მთავრობას. ჭალა-უფლება კვლავ მთავრობის ხელშია. გამოცხადდა სამხედრო წესები.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ გადაწყვეტილია მოგერიებითი ომი აწარმოვონ ჩეხების, რუმინელების და სამხრეთის სლავიანთა წინააღმდეგ.

უნგრეთში სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია გამოაცხადეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი გამოცხადდენ, რადგანაც გლეხებს აწუხებს საბჭოთა მთავრობის არსებობა.

გუშინ საღამოთი გვიან მარშალ ფოშმა გერმანიიდან ტელეგრაფით პასუხი მიიღო იმ დეპეშაზე, რომელიც კვირას ოთხთა საბჭომ გაუგზავნა გერმანიის მთავრობას და აუწყებდა, რომ თუ დელეგატებათ ბნელი პირები გამოუგზავნეს, ისინი არ სცნობენ მათ. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ რწმუნება და უფლება საზავო პირობების ხელმოსაწერათ. გუშინდელ დეპეშაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგაცია შესდგება 6 მაღალი თანამდებობის პირისაგან. დელეგაციის თავმჯდომარეთ იქნება გრაფი ბროკდორფორანტცაუ. დელეგაცია მომავალ ორშაბათზე ადრე არ ჩამოვაო.

ამნაირათ, გერმანელების გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა საქმე მაინც შეაფერხეს. ამის გამო საზავო ხელშეკრულებას შაბათის მაგიერ რორშაბათს წარმოუდგენენ გერმანელებს. ფიქრობენ, რომ ამ კვირაში კონფერენციის რამდენიმე სხდომა მოხდება მომავალ კვირის ამბებისათვის მოსამზადებლათ.

საფრანგეთის ცნობილი მფრინავი ვედრინი, რომელიც პარიზიდან რომში მიფრინავდა, გუშინ ბონსის ახლო მოკვდა. პარიზიდან აფრენის შემდეგ გავიდა 4 საათი, რომ გამოურკვეველ მიზეზის გამო მანქანა ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

ციმბირის არმიამ ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებიდან 190 მილით წინ წაიწია. უკანასკნელათ ციმბირის არმიამ მდ. კამაზე აიღო საგაპული, რომელსაც ბოლშევიკები მედგრათ იცავდენ.

საფრანგეთის მთავრობა ორშაბათს აპირებს დღესასწაულის გამართვას, როცა ადმირალი სერ დავიდ ბიტი 100 ოფიცერის და 1000-ზე მეტი მეზღვაურის თანხლებით პარიზში ჩამოვა. დღისით „ინვალიდების სასახლე“-ში მას ზეიმით მიიღებს სამხედრო გუბერნატორი. შემდეგ ოფიცრები, როგორც საპატიო სტუმრები ინახულებენ პრეზიდენტს და დაეწრებიან ოპერაში საგანგებო წარმოდგენას.

იუწყებიან, რომ ზედ დრედნოუტს „ტენესი“-ს, რომელიც მთელ მსოფლიოში უდიდესი გემი იქნება, ბრუკლინში ჩაუშვებენ წყალში. მისი წყალწყვა 32,300 ტონაა და შეიარაღებულია 12 თოთხმეტ დიუმიანი ზარბაზნით.

პარიზიდან იუწყებიან, რომ ბეატრისა ფორბს რობერტსონმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ ბრიტანიის მუშათა პარტია არას დროს არ აყვება ბოლშევიზმს. დიდ ბრიტანიაში აზრადაც კი არავის არ მოსდის რევოლიუციის მოხდენა; რეფორმები ისე გატარდება, რომ წესრიგი არ დაირღვევა. რევოლიუციონური პროცესი აუჩქარებლივ ჩატარდება, თანდათანობით იქნება გადადგმული ნაბიჯები, რადგან ხალხმა ომის დროს შეიგნო თავის ძლიერება.

გენერალ უილიამ რობერტსონი კელნში ჩავიდა, რათა რეინზე მყოფ ინგლისის ჯარის სარდლობა გასწიოს.

ატლანტიის ოკეანეზე განზრახული გადაფრენა 2 კვირით გადაიდო. ნიუფაუნდლენდში ხელ საწყო ამინდია, მაგრამ ცნობებია, რომ ატლანტიის ოკეანეზე მოსალოდნელია უამინდობა.

ოთხთა საბჭო კიაო-ჩაოს საკითხის გარჩევას სამშაბათს აპირებს. შანდუნის საკითხი დროებით გადაიდო. იტალიის მოთხოვნილებამ კონფერენცია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ ჯერ კიდევ არის იმედი, რომ შეთანხმება შესაძლებელია. ორლანდის წასვლა გადაიდო. დეპუტატების სხდომა მაისის 5-სათვის გადაიდო. მოელოდენ, რომ იტალიელები დაესწრებოდენ ოთხთა საბჭოს შუადღის სხდომას, მაგრამ ისინი არ გამოცხადდენ, ეს შესაძლებელია ჩაეთვალათ კონფერენციიდან წასვლის მუქარათ, მაგრამ ეს, აშკარაა, იმიტომ მოხდა, რომ ოთხთა საბჭოს სურდა ჯერ იაპონიის საკითხის განხილვა, რათა იტალიელებისათვის მოსაფიქრებლათ დრო მიეცათ და შემდეგ დაბრუნებოდენ მათ მოთხოვნილებათა განხილვას. დილის სხდომის შემდეგ კლემანსო, ორლანდო და ლოიდ ჯორჯი დიდ ხანს მსჯელობდენ შექმნილ მდგომარეობაზე. მთავარ შტაბში მათ ვერ აუხსნეს, თუ იტალიელები ბოლოს დაბოლოს დაეთანხმებიან გონიერ საბუთებს, თუმცა ზოგი მათგანი დაბეჯითებით აპირებს წასვლას. როგორც ამბობენ, ლოიდ ჯორჯი და კლემანსო ვილსონს მხარს უჭერენ ფიუმეს საკითხში.

ლიონიდან იუწყებიან, რომ ლოიდ ჯორჯი დათანხმდა, ამერიკა-ირლანდიის დელეგატები მიიღოს მომავალ კვირაში. პრემიერს სურს მოუსმინოს დელეგატებს და ალბად, თავის მხრით ვრცელ პასუხს გასცემს, რათა განმარტოს ის უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა ინგლისსა და ამერიკის შუა. ლოიდ ჯორჯი მზად იყო ამ კვირაში მიეღო ისინი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბევრია ისეთი საქმე, რომელიც დაუყონებლივ უნდა განიხილოს კონფერენციამ და ამის გამო დელეგატებს სთხოვა გადაედოთ წასვლის დღე. აქმის მდგომარეობა, რომელიც თითქმის არ აკმაყოფილებდა შეერთებულ შტატებს, ეხლა ირკვევა. ლოიდ ჯორჯს არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო მათთან თანამშრომლობისა, მათი განმარტების მოსმენისა და მზათაა მათთან ერთად განიხილოს მთელი საკითხი. მოლაპარაკება წინად ისე სწარმოებდა, რომ შეესაძლებელი იყო მხოლოდ საქმის გართულება. იმ პირს, რომელიც მათ ხელმძღვანელობდა, მხოლოდ ზიანის მიყენება შეეძლო ინგლისსა და ამერიკის შორის არსებულ მეგობრულ განწყობილებისათვის.

მოსკოვი, აპრილის 28. ცენ. აღ. კომ. ბ. ბ. ბიულეტენი.

შენკურსკი, აპრილის 23. მდ. ვიგა ყინულისაგან იწმინდება. წითელი ჯარები თეთრ გვარდიელებს უკან ახევინებენ.

პეტროგრადი, აპრილის 23. მოწონებულ იქნა ელაგის და სხვა კუნძულების საბუნებისმეტყველო და საგეოგრაფიო უზარმაზარ მუზეუმად გადაქცევის გეგმა. მუზეუმი გაყოფილი იქნება ორ, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ნაწილად. კრესტოვის კუნძულზე იქნება დიდი ზოოლოგიური მუზეუმი, ჰამბურგის ზოოლოგიურ მუზეუმის მაგვარი.

ნოვგოროდი, აპრილის 23. გუშინ ნოვგოროდმა იდღესასწაულა საყოველთაო სამხედრო წრთვნის შემოღების წლის თავი.

№ არმიის შტაბი. აპრ. 22. იმ გარემოებამ რომ ვოლგის მხარეს საფრთხე მოელის, მაჰმადიან მცხოვრებთა შორის რევოლიუციონური განწყობილება შექმნა. ალაფუზის ქარხნის მაჰმადიანმა მუშებმა განაცხადეს, რომ მზათ არიან იბრძოლონ რუსეთის და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და მოითხოვენ მკაცრი ზომები მიიღონ დეზერტირების წინააღმდეგ და დაუნდობელი ბრძოლა აწარმოვონ შეთანხმების სახელმწიფოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

მადლობის გამოცხადება

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ს. ლიხაურის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებს სვიმონ ურუშაძეს, რომელმაც ლიხაურის უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ სამასი (300) მან. შემოსწირა.

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, ინსპექტორი **ირაკლი ფერაძე.**

—

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ თიანეთის მაზრის თავდაცვის კომიტეტის სახელით იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს თავიანთი წვლილი და ამით ხელი შეუწყეს ომში დაღუპულ და დასახიჩრებულ ჯარის კაცთ და მათ ცოლშვილს. გვარები შემომწირველთა: სვიმონ ხუციშვილი 20 მან., ვლ. კაკაურიძე 20 მ., სანდრო შუშანაშვილი 20 მ., ვანო ტუშური 50 მან., გიორგი ხარანაული 25 მან., ზაქარა მარაული 15 მან., ლაზარე გაბიტაშვილი 50 მ., მიტრო ხიზანაშვილი 50 მან., გიორგი ლომა-

შვილი 50 მ., დიმიტრი ჯიმშიტაშვილი 10 მ., ბასილა მოსიაშვილი 50 მან., გიორგი ჯიმშიტაშვილი 50 მან., სარიბეგ აბრამოვი 50 მ., ვასო ბოჭორიძე 20 მ., ვანო ასლანოვი 20 მ., ლადო თუშიშვილი 10 მ., კოტე ცინცაძე 10 მ., ცომიევი 10 მან., გიორგი აბრამიშვილი 5 მ., იობა ღვინიაშვილი 10 მ., დავით საღირაშვილი 10 მ., პავლე ჭურჭელაური 20 მ., რევაზ გოჯიაშვილი 10 მ., ბასილა ჯამარაული 5 მ., დავით მიქაბერიძე 20 მ., იოსებ დიმიტრის ძე აბრამიშვილი 10 მ., მიხეილ ხატიაშვილი 15 მ., ფირუზ უშიკაშვილი 20 მ., ნიკო ქუმსიაშვილი 10 მან., პ. ფლთოლაშვილი 25 მ., გიგოლა მუხჯიევი 10 მ., არტემ შაკულოვი 10 მ., მიხეილ წიკლაური 40 მ., თედო დავითაშვილი 15 მ., ტატო ჭურჭელაური 20 მან., კოჟია ქიტესაშვილი 5 მ., ვარდო პაპუნოვი 10 მ., ივანე ჩიბალაშვილი 25 მან., მიხეილ ძებნიაური 20 მან., ზაქარია გონჯილაშვილი 10 მ., ანნა გონჯილაშვილი 3 მ., მიშა ფრიდონოვი 30 მან., კოტე გუგუტაშვილი 10 მ., ლევან ჯამშიტაშვილი 20 მან., ივანე ჯიმტაშვილი 20 მ. და პავლე ბეჩუკური 10 მან. სულ 948 მანეთი. აქედან დახარჯულია ცხენების ქირაობაში 100 მან. დანარჩენი 848 მ. გადაგზავნილია ამიერ-კავკასიის ბანკში კომიტეტის სახელზე დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

თიანეთის მაზრის თავდაცვის კომიტეტის ხაზინადარი **ვასილ ჯიბლაძე.**

---

12 მარტს 1919 წელს რევოლიუციის ორი წლის თავის აღსანიშნავად ლიხაურის (ოზურგეთის მაზ.) უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფეებმა ამავე სკოლის დარბაზში გამართეს საღამო-წარმოდგენა. მთელი შემოსავალი ამ წარმოდგენიდან და აგრეთვე ბუფეტიდან გადადებული იყო ლიხაურის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის სასარგებლოდ. სულ შემოვიდა 2500 მან. ხარჯები იყო 1100 მან. წმინდა შემოსავალი დარჩა 1400 მან., რომლიდანაც 300 მან. გადაეცა ადგილობრივ პირველდაწყებით სასწავლებელს. ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა მას, ვინც საქმით თუ სიტყვით ხელი შეუწყო აღნიშნულ საღამო-წარმოდგენის კეთილად დაგვირგვინებას და ისმალთა ურდოების მიერ გაძვალტყავებულ სასწავლებელს ცოტაოდენი მატერიალური დახმარება აღმოუჩინა. დიდი მადლობის ღირსნი არიან ლიხაურში არსებულ ორივე სასწავლებლის მასწავლებლები: ქეთევან ფერაძისა, ანასტასია მახარაძე, ლოლია გოგოლიშვილი, ოლია ცეცხლაძე, პელაგია ლომჯარია და სხვ., რომელნიც ენერგიულად ზრუნავდნენ, რათა ჩვენი სასწავლებლის საკეთილდღოთ გამართული წარმოდგენა საღამო სასურველად დამთავრებულიყო. დიდი მადლობა აგრეთვე იმათ, ვინც თავისი პირადი დასწრებით საერთო საქმისათვის პატარა წვლილი შემოიტანა და იმ შენობას, რომლის აგებაც ამ მოკლე ხანში განზრახულია, ამ პატარა წვლილით ერთი აგური მაინც შესწირა.

ლიხაურის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი

ირაკლი ფერაძე.

სასოფლო კომისიაში

ნეიტრალური ზონის მცხოვრებნი.

16 აპრილს სასოფლო კომისიის სხდომაზე ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებ ბერძენთა წარმომადგენელმა მოხსენება წაიკითხა, რომელმაც აღნიშნა, რომ ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებნი სურსათის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიანო, აღნიშნულ რაიონის სომეხ და თათარ მცხოვრებთა შორის დიდი აგიტაცია სწარმოებს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამავე კომისიის პროპაგანდისტმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ნეიტრალურ ზონაში საწინააღმდეგო პროპაგანდა აიხსნება ადგილობრივ უმოქმედობით და განსაკუთრებით სარაიონო კომისართა სისუსტითაო. დამფუძნებელ კრების არჩევნებს ადგილობრივი მცხოვრებნი მაჰმადიანი და ბერძნები გულგრილათ ეკიდებიან. საადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გატარების საკითხი ძლიერ მწვავეთაა დაყენებული. ამ მხრივ ძლიერ ცოტაა გაკეთებული. სასოფლო კომისიამ მოისმინა რა ეს მოხსენება დაადგინა:

1. ეცნობოს მთავრობას ბორჩალოს მაზრის მდგომარეობა და ეთხოვოს ზომები მიიღოს სასურსათო საჭიროების შემსუბუქების შესახებ.

2. გაიგზავნოს ამ მაზრაში შერეული კომისია მიწების მილების შესახებ.

3. ეცნობოს საქმის მდგომარეობა დამფუძნებელ კრების სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას.

ქუთაისი.

○ ქუთაისის ქალაქის თავის მოურავის ამხანაგათ აირჩიეს სერ. რობაქიძე, გამგეობის მეექვსე წევრათ კ. საყვარელიძე.

○ ქუთაისის მილიციის უფროსის ვ. სულაქველიძის საკითხი საბოლოოთ გამოირკვა, ტფილისმა ქუთ. საბჭოს თხოვნა არ შეიწყნარა და ვ. სულაქველიძე ტფილისის მილიციის უფროსათ დაინიშნა. ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე სულაქველიძეს ერთხმად მადლობა გამოუცხადა და ოვაცია გაუმართა.

○ 16 აპრილს დილით ბაღდათში მიმავალ დილიჟანს ქუთაისიდან მეექვსე ვერსზე საღორიის ტყეში დახვდენ შეიარაღებული ავაზაკები აუტეხეს სროლა, დასჭრეს ორი ცხენი და მგზავრები გაძარცვეს, რაც გააჩნდათ ფულათ და ნივთათ მთლად წაიღეს.

○ ქუთაისის ციხის უფროსი ატყობინებს ქუთაისის გუბ. შინაგან საქმეთა ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს ს. ვეგელაშვილს, რომ ადმინისტრატიული ტუსაღი დავითი კასპაროვი გაიქცა. მის დასაჭერად სასტიკი ზომებია მიღებული.

○ გარდაცვალებული იოსებ ოცხელის ადგილზე, ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლათ დაინიშნა, ამავე გიმნაზიის ინსპექტორი ბ-ნი სილოვან თომას ძე ხუნდაძე.

○ ქალაქის ბაღში სეირნობის ნებართვის მიცემის შესახებ ქალაქის გამგეობამ 12 აპრილის სხდომაზე დაადგინა: ქალაქის ბაღში სეირნობის გამართვის ნებართვა მიეცეს მხოლოდ სამ საქველმოქმედო თუ საგანმანათლებლო-საკულტურო საზოგადოებას: ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას და სახალხო უნივერსიტეტს. დადგენილება მოხსენდეს საბჭოს.

○ ქუთაისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო ტფილისიდან, ცენტრალურ სასურსათო საბჭოდან დეპეშა, რომ ხუთი ფუთი სიმინდის გადატანა რკინის გზით ნებადართულია, ხუთ ფუთზე მეტის გადაზიდვა კი აკრძალულია და ნებართვა არავის მიეცემაო.

○ ყულაბებით ფულის შეკრების შესახებ ქალაქის გამგეობამ 12 აპრილის სხდომაზე დაადგინა: ყულაბებით ფულის შეგროვების ნებართვაქალ. ქუთაისში მიეცეს სხვა და სხვა დაწესებულებათ თვეში მხოლოდ ორჯერ იმ რიგის დაცვით, რომლითაც თხოვნები შემოტანილია. დადგენილება მოხსენდეს საბჭოს.

ქრონიკა

○ გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო ჟურ. „კავკასიის ქალაქი“ № 4 შემდეგი შინაარსისა: ქართულად: საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობა. გ. ნანეიშვილი—დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთა შორის (გაგრძელება). ი. ჭურდიანი—როგორ უნდა მოეწყოს აგრონომიული დახმარება ერობებში (დასასრული). ნ. რუხაძე—საერობო მედიცინის ორგანიზაცია. ს. რობაქიძე—სასკოლო აღმშენებლობა (დასასრული). ქრონიკა რუსულად: ვ. სოკოლოვი—ცენტრალური ერობის საკითხი. ვ. იანოვიჩი—ერობის მცირე ერთეულის შემოღებისათვის. ბ. უვაროვი—ცენტრალური ერობის მორიგი საკითხი. ა. ესსენი—თეთრი ნახშირი. დ. კორენევი—კოოპერატივის მდგომარეობა. ა. ბრიტნევისა—საქ. რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მეორე მუნიციპალური ყრილობის შესახებ. ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის რეზოლიუციები. ქრონიკა.

○ რედაქციამ მიიღო საქართველოს მოსამსახურე ფარმაცევტთა პროფ. კავშირ. ცენტრ. საბჭოს თვიური ჟურნალი: „მოსამსახურე ფარმაცევტი“ № 1. ღირს 6 მან.

○ ოზურგეთის მაზრის კომისარმა ღლონტმა 18 აპრილს სოფელ ამაღლებაში ყარამან სიხარულიძის სახლში აღმოაჩინა ტომარაში ჩაწყობილი შემოქმედის მონასტერის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: გატეხილი ხატები, ბარძიმი, მიტრა და საცეცხლური, თვლები და სხვა., წონით 18 გირვანქა და 6 მისხალი. დაპატიმრებულია სიხარულიძე და სხვები. ამ გარემოებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. გამოძიება სწარმოებს.

○ აპრილის 24, ინგლისის მისიამ გადასცა სააგენტოს გამოსაქვეყნებლად შემდეგი ოფიციალური ცნობა: დონის ფრონტი, 15 აპრილს, რეჩნის ჩრდილოეთით დონის ყაზახებს მოუხდათ შეტაკება ბოლშევიკების ლაშქართან. ბრძოლა ყაზახების სასარგებლოდ დამთავრდა. მათ წამოიყვანეს მრავალი ტყვე და ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი და რამოდენიმე ტყვიის მფრქვეველი. ძლიერი ბრძოლა სწარმოებს პეტროპავლოვსკის ჩრდილოეთით. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

○ აღდგომის ღამეს ყოფილ სამხედრო სასწავლებლის ეზოში ვიღაცა ბოროტ-მომქმედებმა რევოლვერის ტყვიით მოჰკლეს ინგლისელების ქსენონის ექიმი. ამ კაცის მოკვლის თაობაზე სისხლის მილიციას აღმოუჩენია და დაუპატიმრებია მკვლელობაში მონაწილეობის მიმღები: ბერძენიშვილი, ბარამაძე და ცინცაძე. მკვლელნი პაიჭაძე და ჟღენტი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

○ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგეთ, ა. ხ. როლლოვის ალაგას ინიშნება ყოფილი დაღესტანის ოლქის აგრონომი ბ-ნი გედევანიშვილი.

○ ტფილისში დაარსდა საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირი. კავშირი მოქმედებას უკვე შეუდგა.

○ 23 აპრილს მილიციონერებმა მტკვრის პირს დამხრჩვალი ქალის გვამი იპოვეს.

○ საქართველოს ქუჩაზე კ. აკოფოვმა მილიციის უფროსს განუცხადა, რომ 23 აპრილს, მის სახლში არ ყოფნის დროს ქურდებს 15.950 მ. ოქრო-ვერცხლის ფული მოუპარავთ.

○ ტფილისში ჩამოვიდნენ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი—ტიგრანიანი და იუსტიციისა—არუთინიანი ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე დასასწრებლათ.

○ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდნენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამხანაგი თემირ-ბეკ მაკინსკი, მინისტრთა თავმჯდომარის კანცელარიის დირექტორი რაშიდ-ბეგ იზმაილოვი და ექიმი ჰამიდ განი-ზადე. მათ დავალებული ჰქონდათ ტფილისის სახელმწიფო ბანკიდან 900,000 მან. მიღება. ფული ადერბეიჯანის მთავრობის მიერ გადაცემული იყო სამხრეთ-დასავლეთ ადერბეიჯანის ლტოლვილთა დამხმარე ორგანიზაციის მოსაწყობად. აღნიშნული თანხა ხაზინიდან მიიღეს 17 აპრილს. იზმაილოვმა ეს თანხა თავის ბინაზე (სასტუმრო ორიანტში) წაიღო. შენახული ფული უეცრად დაიკარგა. 18 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, საგანგებო რაზმის უფროსს უბრძანა ენერგიული ზომების მიღება დაკარგულ თანხის აღმოსაჩენად. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ფულის მითვისება განუზრახავთ თვით დირექტორსა და მის შიკრიკს, რომელთაც ფული სასტუმროს ღუმელში დაუმალავთ. საგანგებო რაზმის უფროსმა ბოროტ-მომქმედნი დააპატიმრა.

○ კაჩუხაშვილის და ვეშაპელის საქმის გარჩევა 17 აპრილს საღამოთი დასრულდა. კაჩუხაშვილი ბრალსა სდებდა ვეშაპელს ცილის წამებას პრესის საშუალებით. სასამართლო საქმის გარჩევას სამ დღეს მოუნდა. სამი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, რომლითაც გრ. ვეშაპელი გაამართლა. განაჩენი საბოლოო დასაბუთებულის ფორმით ორ მაისს გამოცხადდება.

განცხადებები

ქ. ტფილისის მესამე სამომრიგებლო განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრე ზურაბის ძე გოგვაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გოგვაძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. I ნ. X ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

489 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ლევან მაქსიმეს ძე კობახიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კობახიძის ქონებაზე სამ. კან. კრ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 490 1—1

1918 წელს აგვისტოში ტფილისში დავკარგე პასპორტი მოცემული ნურმგუზის სამმართველოდან ტოსნენის მაზრა, კურლიანდიის გუბერნია, ქრისტინა იაკობის ასულის ბლაუმისის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ შემატყობინოს შემდეგი მისამართით, ყაზბეგის ქ., № 2, ბინა დაფქვიაშვილისა. 536 3—1

კავკასიის ბანკის გამგეობა იუწყება, რო 1917 წ. აპრილის 20-ს მიცემული ბილეთი № 73050 3.000 მ. აკოპ კარაპეტის ძე მურადიანის სახელზედაკარგულია თუ უკანასკნელ განცხადებიდან ერთი წლის ვადაში ზემო აღნიშნული ბილეთი არავინ წარმოადგინა ბანკში, იგი გაუქმებულათ ჩაითვლება.

703 3—3

კავკასიის სინოდალური კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 20-ს, კონტორაში შეტანილ თხოვნა-განცხადებაში ეპიშევმა მის ცოლთან ზინაიდა ბორისის ასულ ეპიშევთან განქორწინების შესახებ ეპიშევა მიწვეულია სინოდალურ კონტორაში დასარიგებლად და მოწმების დაკითხვის დროს დასასწრებლად, თუ ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან ეპიშევა არ გამოცხადდა, საქმის წარმოება გაგრძელდება. 494 1—1

სერგი მარკოზის ძე ბალაბანიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1909 წ. 533 3—2

1918 წ. დეკემბრის 14-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანტონინა მიხეილის ასულმა შლეპნიევამ 24.870 მან. მიჰყიდა ჯამალ აბრამის ძე ავეტისოვს მამული ქ. ტფილისისის მე-7 უბ., მარტყოფისა და ხოჯევანის ქ. კუთხეში, ქალ. № 643, მამული შეიცავს მიწის ნაჭერს ზომით $66^{75}/_{100}$ საჟ. შენობებით. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 994 მ. 80 კ. მთავარი ამონაწერი 125 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 135 1—1

---

1 დეკემბერს ქუთაისის სადგურზე ჯიბიდან ამოართვეს საფულე ოლღა სამსონ კორძაიას ასულს ასათიანისას: თამასუქი 8000 მანეთის მაკიკას და იოსებ ღოღობერიძის ხელმოწერილი, 1000 მანეთის ანეტა კუჭუხიძის მეულლის, 1000 მანეთი დავითი და გრიგოლი დიმიტრის ძე ისაკაძეების, ანდამატი სალაყაიასი, ორი ვექსილი 150 მანეთის და სხვა და სხვა ბარათები, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 539

1918 წ. ოქტომბრის 15-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პროსკოვი ისაიას ასულმა ოსოვსკაიამ 4.000 მან. მიჰყიდა ესფირა ისაიას ასულს პროსკაიას მიწის ნაჭერი, ზომით $39^1/_4$ ოთ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მე-2 უბ., კონონირის შესახვევში, ქალაქის № 216. გადახდილია: სააქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 183 მ. 36 კ. მთავარი ამონაწერი 23 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 195 1-1

1918 ნოემბრის 5-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე დიმიტრის ძე დეკანოზოვმა 7.280 მ. მიჰყიდა მიხეილ ქრისტეფორის ძე სულხანოვს მიწის ნაჭერი, № 16, ზომით 104 ოთ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბ. „ვაკეზე“ ქალაქის № 1042. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 291 მ. 20 კ. მთავარი ამონაწერი 36 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 196 1—1

1918 წ. ნოემბრის 6-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარიამ იაკობის ასულმა ყვავილოვამ 16.000 მან. მიჰყიდა რიზე გუსეინ ოღლის მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 34 ოთ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მე-5 უბ. ქალაქ. № 448. გადახდილია: სააქტო 3 მ. განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 640 მ. მთავარი ამონაწერი 80 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 197 1—1

1918 წ. დეკემბრის 7-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ივანე პეტრეს ძე გიგოლოვს 10.000 მ. მიჰყიდეს სინაბორკა იდიკის ასულმა და მაკშარიბო აუქშევებმა მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 93 ოთ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბ., ნაძალადევში მეორე ლესოკულტურნი ქ., ქალაქ. № 1155. გადახდილია: სააქტო 3 მან. 50 კ., გადასაწერი 60 კ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 400 მან. მთავარი ამონაწერი 50 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 918 1—1

გამოვიდა

„უკიდი მნათობი“

№ 1 ფასი 25 მ.

საწყობი: პლეხანოვის პროსპექტი № 178.

2—2 710